პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 7 23 0001502892

07/11/2023

ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლისთვის „ექსტრემალური სპელეოტურის გამყოლი“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტში არსებული პრომეთეს, მელოურის, ბღერის, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ხავერდოვანას და ფოთოლცვენის მღვიმეში პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლას (ს/კ: 42932985) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ექსტრემალური სპელეოტურის გამყოლი /01650/ წყალტუბოს მუნიციპალიტეტში არსებული პრომეთეს, მელოურის და ბღერის, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ხავერდოვანას და ფოთოლცვენის მღვიმეში **(დანართი).**

2. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2023 წლის 7 ნოემბრის №1502150 ოქმის პირველი ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით. მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბაბალაშვილი ნინო

ნ. ბაბალ

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს მდივანი
ზაქარეიშვილი მარიკა

დანართი

პროგრამის კოდი	**პროგრამის დასახელება**	**პროგრამის სახე**	**ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე**	**პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში**	**სწავლების ენა**	**მსმენელთა ზღვრული რაოდენობა**	**პროგრამის განხორციელების ადგილი**
01650	ექსტრემალური სპელეოტურის გამყოლი	პროფესიული მომზადება	მეხუთე	3	ქართული	12	წყალტუბოს მუნიციპალიტეტში არსებული, პრომეთეს, მელოურის და ბღერის მღვიმე, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ხავერდოვანას და ფოთოლცვენის მღვიმე